ანაზღაურებადი სტაჟირება ავტო დაკრედიტების დეპარტამენტში, დასაქმების პერსპექტივით.

პრზიციის დასახელება: ავტო დაკრედიტების ექსპერტი

სტაჟირების ხანგრძლივობა: 3 თვე

ადგილმდებარეობა: თბილისი

სამუშო გრაფიკი: კვირაში 5 დღე

ანაზღაურება: ფიქსირებული 400 ლარი + საბონუსე სისტემა

შერჩევის ფორმა: გასაუბრება

კომპანია „ტექნოკრედიტი" ბაზარზე წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს ფინანსურ მექანიზმს, რომელიც გასცემს ყველა სახის სალომბარდე სესხს. კომპანია „ტექნოკრედიტი" ხასიათდება არამხოლოდ სისწრაფით არამედ სანდოობით, სიმარტივით, გამორჩეული სერვისებითა და მომხმარებლის სურვილებზე მაქსიმალურად მორგებული პროდუქტების შექმნით. ჩვენ ყოველთვის ვზრუნავთ ინოვაციური და კომფორტული სერვისებით მომხმარებელს გავუმარტივოთ სესხის მიღების პროცედურა.

სტაჟირება ფინანსურ ორგანიზაციაში „ტექნოკრედიტის" ავტო დაკრედიტების დეპარტამენტში. თუ არ გაქვთ სამუშაო გამოცდილება, ხართ ენერგიული და მოტივირებული, კომპანია „ტექნოკრედიტი" საშუალებას გაძლევთ მიიღოთ გამოცდილება საფინანსო სფეროში, სტაჟირების წარმატების გავლის შემთხვევაში, საშუალება გექნებათ მიიღოთ კარიერული წინსვლა და განვითარება.

ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები:

- მომხმარებლის სრულყოფილი ინფორმირება ავტო დაკრედიტების პირობებზე, განმარტება და ხელშეკრულებისპირობების დეტალურად გაცნობა
- ავტო სესხის პროგრამული რეგისტრაცია;
- ავტო დაკრედიტების/უზრუნველყოფის ავტომობილის დათვალიერება-დასურათება და პროგრამაში ასახვა
- აქტიური სატელეფონო გაყიდვების/შეთავაზების განხორცილება წინასწარ შერჩეული სეგმენტისთვის

საჭირო ცოდნა, კვალიფიკაცია და თვისებები:

- უმაღლესი განათლება (დაიშვებიან სტუდენტები)
- საოფისე პროგრამების სამომხმარებლო დონეზე ცოდნა
- კანდიდატს უნდა შეეძლოს ეფექტური კომუნიკაცია და ჰქონდეს დარწმუნების უნარი
- კანდიდატს უნდა გააჩნდეს, დეტალებზე ორიენტირებულობა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა
- სავალდებულოა ორგანიზებულობა, კეთილსიდისიერება, თავაზიანობა და აკურატულობა

დაინტერესებულმა პირებმა გამოგვიგზავნეთ თქვენი განახლებული CV ქართულ ან ინგლისურ ენაზე ელ.ფოსტაზე vacancy@techno-group.ge არაუგვიანეს **2022 წლის 15 ნოემბრისა.**

გთხოვთ, ელ. ფოსტის ***„subject"-ში მიუთითოთ სერვისის სახელწოდება,*** სხვა შემთხვევაში თქვენი განაცხადი არ განიხილება. გასაუბრებისათვის მოწვეულნი იქნებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც აკმაყოფილებენ მოთხოვნებს. თქვენს მიერ გამოგზავნილი CV შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს და ჩვენთვის ინფორმაციის გაზიარებით ჩავთვლით, რომ თქვენ ეთანხმებით ჩვენთვის პერსონალური მონაცემების გაზიარებას. გაცნობებთ, რომ თუ თქვენი გამოცდილება და უნარები არ იქნება თანხვედრაში ჩვენს მოთხოვნებთან, თქვენი CV არ შეინახება ბაზაში და ასევე არ გადაეცემა მესამე მხარეს.

გისურვებთ წარმატებას!